ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1388000

ნომერი: AR1235328

თარიღი : 09.07.2014

გაცემის თარიღი : 16.07.2014

გაცნობის თარიღი : 17.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაძე , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.09.2013წ. #903641 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისისმერიისსსიპ– თბილისის არქიტექტურის სამსახურს07/09/2014წ. #AR1235328 განაცხადითმომართა თამაზი მურვანიძემ და მოითხოვა სამსახურის18.09.2013წ. #903641 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურმაჩვენებლებშიცვლილებისშეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლისთანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 18.09.2013წ. #903641 ბრძანებით, ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), ჩიტაძის ქ. N 9–ში, ამხანაგობა ჩიტაძის ქუჩის N 9–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 18 სექტემბრიდან – 2015 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებულიტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, კერძოდ, დაფიქსირდა: საერთო ფართობი (კვ.მ).: 12496.9, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1214.4 და სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 2155.2.

აღნიშნულის გამო, დღეისათვის, სამსხურს მომართავს შეთანხმებული კორექტირებული პროექტის არქიტექტორი და ითხოვს შევიდეს ცვლილება ბრძანებაში და მიეთითოს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 124771.1, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1194.6, ხოლო ნაცვლად სარდაფის ფართობისა დაფიქსირდეს ავტოსადგომების ფართობი (კვ.მ).:2155.2, დანარჩენი მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატებისშეტანის უფლება აქვს მის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისშესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.09.2013წ. #903641 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 12477.1, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1194.6, ნაცვლად სარდაფის ფართობისა დაფიქსირდეს ავტოსადგომების ფართობი (კვ.მ).:2155.2, ხოლო სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.09.2013წ. #903641 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.